MES 2 22 0000702806

24/06/2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2022 წლის 10 ივნისს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/81424758438?pwd=Qy9wTFZuZlo2OE5tTXFsQjBpemozQT09

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი/საბჭოს თავმჯდომარე;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი/საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მაგდა ბოლოთაშვილი - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე/საბჭოს მდივანი;
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი/საბჭოს წევრი;
ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი/საბჭოს წევრი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე/საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე/საბჭოს წევრი;
დეა აბულაძე - ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს სტუდენტური სერვისების მენეჯერი;
სერგო ნოზაძე - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის პრეზიდენტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია:
მურთაზ დევაძე - საზღვაო აკადემიის რექტორი,
ნინო ყურშუბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,
რუსუდან ყიფიანი - იურიდიული და ადამიანური რესურსების მათვის დეპარტამენტის უფროსი,
გოჩა გოგიტიძე - პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი,
მირიან ცინცაძე - ფოთის ფილიალის- ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის უფროსის მ/შ,
ირინა ინწკირველი - პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსის მოადგილე,
ნანა ბერიძე - პროფესიული მომზადების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი,
ანა ჩიჩუა - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი (ფოთის ფილიალი),
ნონა კოკაია - საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი (ფოთის ფილიალი),
ნინო ხორავა - ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი (ფოთის ფილიალი).

სსიპ კასპის კოლეჯი:
დემეტრე დემეტრაშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
მარიამ აბელიანი - ხარისხის მართვის მენეჯერი.

შპს კეონი აკადემია:
ნანა ხითარიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელი:
ამირან ტაკიძე - დირექტორი,
მანანა ხაბაძე - ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი.

შპს ბარაკონი:
გიორგი ფოფხაძე -დირექტორი,
ნინო ხაჩიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,
ნინო ბოკერია - დირექტორის მოადგილე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები:

ქეთევან ანთაძე,
ნანა ნატროშვილი,
ნინო გორგოშაძე,
ირმა ღარიბაშვილი,
ტიტე ბოლქვაძე,
თამარ რემიშვილი,
მანანა მახარაშვილი,
ალექსანდრე კეკენაძე,

ელენე ბოდაველი,
ვახტანგ ბოგველიშვილი,
ქეთევან ჯანელიძე,
თამილა გრძელიშვილი,
ქეთევან ბოტკოველი,
ქეთევან ჭუჭულაშვილი.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი

საბჭოს თავმჯდომარე ნანა ყუფუნია გადაუდებელი შეხვედრის გამო, ვერ ესწრებოდა სხდომას თავიდან, მისივე თხოვნით სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვრა შორენა ჯაფარიძე, რომელიც მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს და განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**
1. შპს ბარაკონში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - კასპის კოლეჯის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
5. შპს კეონი აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

რადგან საბჭოს თავმჯდომარე ნანა ყუფუნია ვერ ესწრებოდა სხდომას თავიდან, მისი თხოვნ საბჭოს წევრებს გააცნო შორენა ჯაფარიძემ, კერძოდ, შეცვლილიყო დღის წესრიგი და რიგით პირველი საკითხი განსახილველად გადასულიყო დღის წესრიგის ბოლო საკითხად. შორენა ჯაფარიძემ განმარტება გააკეთა, რომ რიგი საკითხების განხილვა მოხდებოდა 4 საათამდე, შემდეგ საბჭო შეისვენებდა ნახევარი საათით და ისევ განაგრძობდა მუშაობას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს აღნიშნული ცვლილების შეტანის თაობაზე, წევრებს საწინააღმდეგო პოზიცია არ გამოუხატავთ, მაგრამ მოითხოვეს, რომ კოლეჯების წარმომადგენლებს დასტური გამოეხატათ, რის შემდეგაც საბჭოს სხდომა შეცვლილი დღის წესრიგით წარიმართა.

განახლებული დღის წესრიგი :
1. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

2. სსიპ კასპის კოლეჯის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
3. შპს კეონი აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს ბარაკონში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

1. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა, სიტყვა გადასცა ქეთევან ანთაძეს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტმა საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2022 წლის 13,14 და 15 აპრილს განახორციელა მონიტორინგის ვიზიტი სსიპ ''სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია''-ში. ზემოაღნიშნული ბრძანებით, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის "ა", "გ", "დ", "ე" ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: „თევზსაჭერი გემის ნავიგაცია" - განხორციელების ადგილი: ქ. ბათუმი და ქ. ფოთი, "შედუღება" (მესამე დონე) - განხორციელების ადგილი ქ. ფოთი, „შედუღება" (მეოთხე დონე) - განხორციელების ადგილი ქ. ფოთი, „ამწის ოპერირება III“ - განხორციელების ადგილი ქ. ფოთი, „ამწის ოპერირება IV" - განხორციელების ადგილი ქ. ფოთი და "პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ განხორციელების ადგილი ქ. ფოთი დებულების 31-ე მუხლის მე- 2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტის ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეიმუშავეს ვიზიტის დღის წესრიგი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროფესიული განათლების მასწავლებელთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ექპერტებმა ქ. ბათუმსა და ქ. ფოთში დაათვალიერეს ძირითადი შენობა-ნაგებობები, სასწავლო, ადმინისტრაციული, დარგობრივი კაბინეტები და სხვა. ვიზიტის ბოლო დღეს ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერა დაწესებულების მიერ სტანდარტის კომპონენტების პირობების შესრულების შეფასებების შედეგები და ძირითადი მიგნებები გაუზიარა დაწესებულების წარმომადგენლებს.

აღსანიშნავია, რომ დასკვნის პროექტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან, რიგი ინდიკატორები (5.1.1–5, 5.1.1-6, 5.1.2-1, 5.2.3- 4, 5.2.3-5) შეფასდა, როგორც **''არ შეესაბამება''.**

5.1.2-1 ინდიკატორთან დაკავშირებით, დაწესებულებამ შეიმუშავა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც ასახა ამ გეგმის შესრულებისთვის საჭირო განსახორციელებელი აქტივობები, ამ აქტივობებზე პასუხისმგებელი სტრუქტურები/პირები და განხორციელების ვადა (5 თვიანი პერიოდი). გამომდინარე აქედან, ექსპერტები ეთანხმებიან დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და აღნიშნული ინდიკატორი ფასდება, როგორც **' 'მეტწილ შესაბამისად''.**
ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ გარკვეულ ინდიკატორებთან: 5.1.1–5, 5.1.1-6 მიმართებით, მოახდინა ნაწილობრივი შესაბამისობის იდენტიფიცირება, აღმოფხვრა სხვადასხვა სახის ხარვეზი, წარმოადგინა ამის დამადასტურებელი დამატებითი მტკიცებულებები დოკუმენტაციისა და ლინკების სახით. გარდა ამისა, 5.2.3-4, 5.2.3-5 ინდიკატორებთან მიმართებით, რომლებიც ექსპერტთა მხრიდან, დასკვნის პროექტის ფარგლებში, ასევე შეფასდა, როგორც ''არ შეესაბამება'', დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში დაასაბუთა თავისი პოზიცია და წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტაცია (სქრინებისა და ლინკების სახით). ექსპერტებმა განიხილეს აღნიშნული პოზიცია და მასალები, რის შედეგადაც, დასკვნის ფარგლებში, აღნიშნული ინდიკატორები შეფასდა როგორც **''შეესაბამ ება''.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილული დოკუმენტაციის სრული ანალიზი და დათვალიერებისა და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე, ექპერტმა ისაუბრა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესახებ.

1.2.პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარება - დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2020-2024 წლების პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმა. მიზანშეწონილია აკადემიამ განახორციელოს ძირითად სტრატეგიულ დოკუმენტში ცვლილება ან ცალკე შექმნილი პროფესიული განათლების სტრატეგიული გეგმა შექმნას 7 წლისთვის, როგორც ამას ავტორიზაციის სტანდარტი ითვალისწინებს, **შესრულებულია.**

2.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: ''ამწის ოპერირება'' (მესამე დონე) და ამწის ოპერირება'' (მეოთხე დონე), დასახელებები. დაწესებულების განაცხადში მითითებულია, როგორც „ამწის ოპერირება", ხოლო სენატის მიერ დამტკიცებული პროგრამის დასახელებაა: „ამწის ოპერირება III" და „ამწის ოპერირება IV". დაწესებულებამ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს აღნიშნული საკითხი-**შესრულებულია.**

2.2.1 – 6 დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, მარეგულირებელ წესში კონკრეტულად გაითვალისწინოს სსსმ პირებისთვის, სასწავლო პროცესში შესაბამისი სპეციალისტების: ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, პროფესიული სტუდენტის ასისტენტის და სხვა მხარდამჭერი პირების ჩართვა, რომელთა დახმარებით შედგება ინდივიდუალური გეგმები და ადაპტირდება სასწავლო რესურსები. გარდა ამისა, გაითვალისწინოს, სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ (საჭიროების შესაბამისად)-**შესრულებულია.**

4.1.1 - 3 აკადემიაში ხარისხზე პასუხისმგებელი პირი აქტიურად არის ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში და შემდგომ ასევე ახდენს, შემუშავებული პროგრამის პროექტის შეფასებას, შესაბამისად, იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი.

ინტერვიუირებით ასევე ირკვევა, რომ შიდა მხარდაჭერის ჯგუფში შედის ხარისხზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში. გამომდინარე იქიდან, რომ ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელია ხარისხზე პასუხისმგებელი პირი, მიზანშეწონილია ვერიფიკაციის პროცესი გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს, ანუ ვერიფიკატორი არ უნდა იყოს პირი, რომელმაც ინსტრუმენტი შეიმუშავა ან მონაწილეობდა შემუშავების პროცესში. სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია აკადემიაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს-**შესრულებულია.**

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.2 – 1 დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში (ქ. ბათუმი, ქ. ფოთი), არსებული უსაფრთხოების ზომების სრულად გამართვისთვის, უზრუნველსაყოფი გეგმის გათვალისწინებით, მოცემულ ინდიკატორთან მიმართებით, იკვეთება სტანდარტთან ''მეტწილი შესაბამისობა''. ხოლო, აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, უზრუნველყოს გეგმის ფარგლებით განსაზღვრული აქტივობების შესრულება, გეგმით დადგენილ ვადებში, არა უგვიანეს 2022 წლის ოქტომბრისა.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

მე-2 სტანდარტის ფარგლებში გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციები, პროგრამებთან მიმართებით:

1. „ამწის ოპერირების“ III და IV დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, არ მოიცავს საწარმოო პრაქტიკის მოდულებს. ხოლო, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები მოიცავს, პროფესიული პროგრამების ''ამწის ოპერირება'' III და IV დონის საწარმოო პრაქტიკის მოდულით უზრუნველყოფას. გამომდინარე აქედან, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, გადაიხედოს მემორანდუმები და გასწორდეს შინაარსობრივი კუთხით.

1-ელი, მე-3, მე-4, მე-5 სტანდარტის ფარგლებში გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციები:

პირად საქმეებში, აკადემიის რეგულაციით განსაზღვრული დოკუმენტაციის არსებობა დასტურდება გადამოწმების შედეგებით, თუმცა, დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიულ მასწავლებელთა პირად საქმეებში არ არის განთავსებული ცნობები: ''სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ'' და ''უფლების ჩამორთმევის შესახებ''. პროფესიული განათლების შესახებ კანონისა და საქართველოს კანონის - ''სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ'' მიხედვით, დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირად საქმეში განთავსებული უნდა იყო აღნიშნული ცნობები. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, პირად საქმეებში, გარდა შიდა

რეგულაციებით განსაზღვრული დოკუმენტაციისა, უზრუნველყოს ცნობების: ''სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ'' და '' უფლების ჩამორთმევის შესახებ'' არსებობა.

1.1.1 – 4 მისიის, ხედვის და ღირებულებების დაინტერესებული მხარეების ფართო წრისთვის გაზიარება ხორციელდება სხვადასხვა ფორმატით, თუმცა, დაწესებულებას აღნიშნული პროცედურა, რასაც ახორციელებს პრაქტიკაში, სრულყოფილად არ აქვს გაწერილი მეთოდოლოგიაში. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, მისიის, ხედვის და ღირებულებების, დაინტერესებული მხარეების ფართო წრისთვის გაზიარების ამსახველი პროცედურები სრულყოფილად აღწეროს თავის მეთოდოლოგიაში.

1.2.2 - 1 დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, თუმცა, შემუშავებულ მეთოდოლოგიაში არ არის განსაზღვრული ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემოწმების პერიოდი. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, აღნიშნულ მეთოდოლოგიაში, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის ნაწილში, გაწეროს ერთწლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგის პერიოდულობა.

3.1.1-1 დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის საფუძვლები, სადაც განსაზღვრულია რომ პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს, რომელიც შეესაბამება „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 20 სექტემბრის N198/ნ ბრძანებას. აღნიშნული პროცედურები, ასევე გაწერილია დაწესებულების შინაგანაწესშიც, რომლის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის სტატუსის შეჩერების ვადად განსაზღვრულია 2 წელი. გამომდინარე აქედან, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, გადახედოს შინაგანაწესს და უზრუნველყოს მისი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესთან შესაბამისობაში მოყვანა.

გარდა ამისა, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტუდენტის პირადი საქმისწარმოების წესი, რომელიც ვრცელდება პროფესიულ სტუდენტზეც. წესში გაწერილია, რომ სტუდენტის პირად საქმეში უნდა ინახებოდეს: სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, სტუდენტის ჩარიცხვის დოკუმენტის ასლი ან დამოწმებული ამონაწერი, სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების ერთი პირი და სხვა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ, პირადი საქმეების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ პროფესიულ სტუდენტთა პირად საქმეში განთავსებულია ატესტატის ასლები და არა დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი. გამომდინარე აქედან, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში განთავსებული დოკუმენტაცია მოიყვანოს შესაბამისობაში სტუდენტის პირადი საქმისწარმოების წესით განსაზღვრულ დოკუმენტაციასთან. დაწესებულებას აგრეთვე ეძლევა რეკომენდაცია ზემოაღნიშნული წესის გადახედვასთან დაკავშირებით, რადგანაც წესით განსაზღვრულია, რომ პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში უნდა ინახებოდეს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, მაშინ როდესაც დაწესებულება ახორციელებს მესამე დონის პროგრამებსაც.

3.1.1-2 დაწესებულების პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს. თუმცა, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია დოკუმენტურად უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების მხრიდან სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი.

3.1.1 - 3 სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით. თუმცა, არსებულ რეგულაციაში არ არის მოცემული ინფორმაცია სააპელაციო კომისიის შესახებ. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების წესს და სრულყოს აპელაციის მექანიზმი.

3.1.1 - 5 დაწესებულების მიერ გაწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმში ნათლად არ არის გამოკვეთილი ინდ. გეგმის შემუშავებაში პროფესიული სტუდენტის ჩართულობის საკითხი. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია: დაწესებულებამ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მექანიზმში ნათლად გამოკვეთოს პროფესიული სტუდენტის ჩართულობის საკითხი ინდ. გეგმის შემუშავების პროცედურაში.

4.2.1 – 4 დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, თუმცა აღნიშნული საკითხი სრულყოფილად არ არის გაწერილი რეგულაციაში. დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია მექანიზმში სრულყოფილად აღიწეროს ის პროცედურები, რასაც პრაქტიკაში ახორციელებენ და რაც, ასევე, დასტურდება გასაუბრების შედეგებით.

5.1.1. – 2 ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ შემუშავებული სხვადასხვა მარეგულირებელი აქტებით, ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. რაც აგრეთვე დასტურდება პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული ერთიანი წესი. ექსპერტთა მხრიდან, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ერთიანი წესის შემუშავება, რომელიც დაარეგულირებს ინფრასტრუქტურის, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეებისა და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობას პროფესიული სტუდენტებისთვის.

5.2.3 – 4 გამომდინარე იქედან, რომ საზღვაო აკადემიის ვებ-გვერდზე ცალ-ცალკე განთავსებულია ბათუმისა და ფოთის ფილიალის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგები, ამასთანავე, ფოთის ფილიალის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი წარმოდგენილია ცალ-ცალკე, თითოეული პროგრამისთვის ინდივიდუალურად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ერთიანი სახის პროგრამების კატალოგის შემუშავება, ყველა იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელთა განხორციელების უფლებაც აქვს დაწესებულებას.

5.2.3 – 5 დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია განახლებული კატალოგები, თუმცა ინდიკატორის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, განახლების დროის მარტივად იდენტიფიცირებისთვის, კატალოგში, დამატებით, უზრუნველყოს წლის მითითება.

5.2.3 – 6 საზოგადოებასთან კომუნიკაციასთან დაკავშირებული საკითხები დაწესებულებას სხვადასხვა დოკუმენტაციაში აქვს ასახული. დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია შეიმუშავოს საზოგადოებასთან ურთიერთობის /კომუნიკაციის ერთიანი წესი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

ამის შემდეგ სიტყვა გადაეცათ დარგის ექსპერტებს.

დარგის ექსპერტის ნინო გორგოშაძის განცხადებით, „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ფოთის ფილიალი - ფოთის საზღვაო საწვრთნელი ცენტრი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **"თევზსაჭერი გემის ნავიგაცია"** სწავლების უფლება მოპოვებული აქვს 2021 წელს 30 პროფესიული სტუდენტისთვის. აღსანიშნავია, რომ წინა წარმოების ფარგლებში აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა, როგორც ''არ შეესაბამება'', გამომდინარე იქედან, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ იყო უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კერძოდ, აკადემიის ფოთის ფილიალის სასწავლო-საწვრთნელ ცენტრში, არ იყო საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ მაგიდები, სკამები, პოსტერები, რუკები, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს 2021 წლის 02 აპრილის N319453 წერილი, რომლითაც ირკვეოდა, რომ სააგენტოსა და ერთ-ერთ ორგანიზაციას შორის გაფორმებული იყო ხელშეკრულება სასკოლო მერხებისა და სკამების შესყიდვაზე, მაგრამ ეს პროცესი დასრულებული არ იყო. ასევე, პროგრამის ფარგლებში არ დასტურდებოდა გარკვეული მატერიალური რესურსის, პოსტერების, რუკების ფლობა. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი არ იყო დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, გარდა ამისა, დაწესებულების მიერ არ იყო წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

მიმდინარე წარმოების ფარგლებში, დგინდება, რომ პრობლემა აღმოფხვრილია. დაწესებულებას თავის მფლობელობაში გააჩნია იმ რაოდენობის მერხები და სკამები, რაც სავსებით საკმარისია პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების რაოდენობაზე, შესაბამისად სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი არის დაწესებულების / პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯამში 30 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში).

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსი აკმაყოფილებს, როგორც პროგრამით დადგენილ მოთხოვნებს, ასევე საზღვაო სფეროში არსებულ საერთაშორისო კონვენციებით და სტანდარტებით განსაზღვრულ პირობებსა და რეგულაციებს. საერთო ჯამში, თევზსაჭერი გემის ნავიგაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A, B და C გარემოები ჯამში 30 პროფესიული სტუდენტის სწავლებისთვის, რომელთა სწავლებასაც საჭიროების შემთხვევაში განახორციელებენ ერთ მიღებაზე ორ ცვლაში.

დარგის ექსპერტის ირმა ღარიბაშვილის განცხადებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე **„შედუღება“** (მე-3 , მე-4 დონე) და **„ამწის ოპერირება“** (მე-3, მე-4 დონე) განხორციელდა შემოწმება წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებზე. მისი განმარტებით, ყველა რეკომენდაცია იყო გათვალისწინებული, ადგილზე მოხდა დათვალიერება A, B და C გარემოსი, ინტერვიუირება განხორციელდა როგორც განმახორციელებელ პირებთან, ასევე პროფესიულ სტუდენტებთან.

დარგის ექსპერტის ტიტე ბოლქვაძის განცხადებით, „**პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტის**“ პროფ ესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში წინა ვიზიტის ფარგლებში მატერიალურ-ტექნიკური რესურსთან დაკავშირებით გაცემული იყო იგივე სახის რეკომენდაცია. შემოწმების შედეგად, დადასტურდა, რომ რეკომენდაცია შესრულებულია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებისა და პრეზენტაციისათვის. შემდეგ კომენტარი გააკეთა სახანძრო უსაფრთხოების გეგმასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ 2022 წლის 29 მარტს დაწესებულებამ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, შემდგომ ეტაპზე აკადემიაში ჩავიდა ჯგუფი, რომელმაც შეისწავლა ორივე ლოკაცია, როგორც ბათუმის, ასევე ფოთის და მათი მხრიდანაც იყო გარკვეული სახის რეკომენდაციები გაცემული. მისი განმარტებით, ძეგლთა დაცვის სააგენტოსთანაც დაწესებულებას აქვს შესათანხმებელი გარკვეული საკითხები რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით. შესაბამისად აღნიშული საქმიანობა დასრულდება 2022 წლის ოქტომბერში. ხოლო რაც შეეხება განმავითარებელ რეკომენდაციებს, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ვიზიტის პროცესშივე იყო გათვალისწინებული რიგი რეკომენდაციები და აგრეთვე არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ფარგლებში, წარმოდგენილი იყო ფორმა თუ როგორ და რა ვადებში გაითვალისწინებდა დაწესებულება ექსპერტთა მიერ გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 10 ივნისი.

2. სსიპ კასპის კოლეჯის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა,სიტყვა გადასცა თამარ რემიშვილს და წარმატებები უსურვა.

მიმდინარე წლის 27 აპრილს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 15/04/2022 N394547 ბრძანებით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ვიზიტი სსიპ კასპის კოლეჯში (მის: ქ. კასპი,დავით აღმაშენებლის ქ. 168-ვ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კომპიუტერული ქსელი და სისტემები", რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (შემდგომში პროგრამა), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით (მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე). ექსპერტთა ჯგუფი მოქმედებდა წინასწარ შემუშავებული დღის განრიგის შესაბამისად.

ვიზიტი წარიმართა კონსტრუქციულ ვითარებაში, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს მათ მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაციის განხილვის მიზნით, გასაუბრება ასევე მოხდა პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან; ექსპერტებმა დაათვალიერეს პროგრამის განხორციელების რესურსი და ვიზიტის დასასრულს გააცნეს ვიზიტის ძირითადი მიგნებები დაწესებულების წარმომადგენლებს.

ექპერტმა ისაუბრა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესახებ

2.2.1 (1) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში დაწესებულებამ მოახდინოს „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ C გარემოს მოწყობა და მატერიალური რესურსით აღჭურვა“. ექსპერტთა შეფასება - შესრულებულია;

2.2.1 (3) პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; სწავლის შედეგების მისაღწევად და სწავლების უწყვეტობისთვის კოლეჯმა უზრუნველყოს ინტეგრირებული მოდულების პედაგოგების გადამზადება მოდულური სწავლების, შეფასების სისტემების და Teams პლატფორმის ეფექტურ გამოყენების საკითხებზე სწავლის დაწყებამდე. ექსპერტთა შეფასება - მიმდინარე;

ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა 19.04.2022 წლის კორესპონდენცია, რომელიც ადასტურებს ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ დაგეგმილ ქოუჩინგის პროგრამის დაწყებას ზოგადი ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლებისთვის.

განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში ხარვეზები და შესაბამისობის რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა. ექსპერტებმა გასცეს რამდენიმე განმავითარებელი რეკომენდაცია, კერძოდ:

2.2.1.1. მოდულში „პრაქტიკული პროექტის-კომპიუტერულ ქსელი და სისტემები“ არის შემდეგი ჩანაწერი: „მოდულის მეორე სწავლის შედეგი „პროფესიული ამოცანის დამოუკიდებლად შესრულება“ სასურველია განხორციელდეს საწარმოში, სადაც სტუდენტს მოუწევს საქმიანობა რეალურ სამუშაო გარემოში“. პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება საწარმოო პრაქტიკის ობიექტთან, მოდულის სამივე შედეგის მიღწევა ხდება კოლეჯის ბაზაზე, რეკომენდირებულია კოლეჯმა მოდულიდან ამოიღოს ზემოთაღნიშნული ჩანაწერი.

2.2.1.2. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის„ კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, რომელშიც ინტერგირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ხანგრძლივობაა 3 წელი, თუმცა პროგრამის განმახორციელებელ ყველა მასწავლებელს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს „კოლეჯის მიერ საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვებისთანავე და ძალაშია მომდევნო ორი წლის განმავლობაში“, რამაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას პროგრამის მდგრადობას. ასევე, რეკომენდირებულია ხელშეკრულებაში მითითებული იყოს პროგრამის დასახელება, ხელშეკრულებაში მითითებულია მხოლოდ მოდულის დასახელება, რაც ვერ უზრუნველყოფს პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის გამჭვირვალობას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექპერტებს ნაყოფიერი სამუშაოსთვის. მისი განცხადებით, ვიზიტის დროს გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციები მყისიერად გამოსწორებულ იქნა და ამის შესახებ ეცნობათ ექსპერტებსაც.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კასპის კოლეჯში „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის

შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კასპის კოლეჯში (ს/კ: 205405480) „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

3. შპს კეონი აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა,სიტყვა გადასცა მანანა მახარაშვილს და წარმატებები უსურვა.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა დეა აბულაძე.

ექსპერტის განცხადებით, შპს "კეონი აკადემიაში" ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის (შემდეგში „ცენტრი“) დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან (მე-2 პუნქტის „ა“,“ბ“,“გ“,“დ“,„ე“) დაწესებულების მიერ პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგი. პსდ-ში ვიზიტი განახორციელდა 2022 წლის 6, 7 და 8 აპრილს.

ექსპერტის განმარტებით, განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, შპს „კეონი აკადემიის“ საქმიანობა პსდ-ების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისია, გარდა 5.1.3. კომპონენტისა, რომელიც შეფასდა როგორც **„არ შეესაბამება“.** რაც კონკრეტულად განაპირობა, დოკუმენტის (საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი) არასრულფასოვნებამ (არ იყო შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან, არ იყო განსაზვრული საგანგებო სიტუაციების მართვაზე პასუხიმგებლი ყველა პირი/შტაბის წევრი).

არგუმენტირების წერილთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა რედაქტირებული საგანგებო სიტუაციების მართვის დოკუმენტი და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კორესპონდენცია, რომლითაც დასტურდება, რომ პსდ-ს საგანგებო მართვის გეგმა შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის No452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულია სამსახურის მიერ. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ 5.1.3 კომპონენტის შეფასება კვალიფიცირდა, როგორც „შესაბამისი“.

ექსპერტის განცხადებით, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შპს „კეონი აკადემიის“ საქმიანობა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თმის მომსახურება“, ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებთან შესაბამისია. გაიცა, მხოლოდ განმავითარებელი რეკომენდაციები. ვიზიტმა კონსტრუქციულ, მშვიდ და კეთილგანწყობილ ვითარებაში ჩაიარა.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ექსპერტის განცხადებით, ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო მასალა, ანიმაციური რგოლი, თმის მომსახურების საგანმანათლებლო პროგრამისთვის. ვიდეო რგოლს ახლავს სურდო თარგმანი, სმენისა და მეტყველების პრობლებმების მქონე პირებისთვის. პსდ, საგანმანათლებლო პროგრამისთვის, გეგმავს ანალოგიური ფორმატის სასწავლო რესურსის შემუშავებას, რომელიც სრულად მოიცავს პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

მონიტორინგის ფარგლებში, შემდეგ ინდიკატორებთან მიმართებით გაცემულ იქნა განმავითარებელი რეკომენდაციები:

1.1.1 (3) - სასურველია, პსდ-ს ხედვით განსაზღვრული სასურველი მდგომარეობის მიღწევა, დროში იყოს რეგლამენტირებული.

1.2.1. (3) - სასურველია, სამოქმედო გეგმებში დაწესებულებამ სრულად ასახოს SWOT ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი ფაქტორები/ამოცანები, იდენტიფიცირება მოახდინოს/დააზუსტოს კონკრეტული ამოცანებისათვის რესურსები (მით უფრო, დამატებითი რესურსების საჭიროების იდენტიფიცირებისას), განხორციელების მდგრადობის უზრუნველყოფისათვის. სამოქმედო გეგმების მიზნების შესრულების ინდიკატორები გახდეს გაზომვადი.

1.2.2.(1) - სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშში მიღწეული შედეგების ეფექტურობის ანალიზი, ასევე ანგარიშგების პერიოდისთვის მოქმედი ფაქტორების (შიდა, გარე) გადახედვა და შედეგების შესაბამისი ანალიზის ასახვა დოკუმენტში.

3.1.1. (2) - სასურველია, პსდ-ს პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრების ოქმების დანართები, შეხვედრაზე დასწრების/დოკუმენტებთან გაცნობის ამსახველი ფურცლები იძლეოდეს განხორციელებული აქტივობის შესახებ ინფორმაციის მიკვლევადობის შესაძლებლობას. (დასწრების/დოკუმენტების გაცნობის ფურცლებში აისახოს შეხვედრის თარიღის, შეხვედრის დასახელების/მიზნის, გაცნობილი დოკუმენტების ნუსხის შესახებ ინფორმაცია).

3.1.1. (4) - სასურველია, რედაქტირდეს პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების, „სტუდენტის მხრიდან უფლებების სხვისთვის გადაცემისა“ (პ. 2.3.) და „ხელშეკრულების შეწყვეტის“ (პ. 4.1.) შესახებ პუნქტები; ხელშეკრულების გაფორმებისას, დაცული იქნეს წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ დოკუმენტის მეტსანდოობას.

3.1.1.(5) - სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს ისგ-ს შემუშავებასთან დაკავშირებულირეგულაციების ერთ დოკუმენტში ჩამოყალიბება.

4.1.1.(3) - სასურველია, კორექტირდეს სასწავლო პროცესის მენეჯერის თანამდებობრივი ინსტრუქცია და შესაბამისობაში მოვიდეს ხარისხის მენეჯერის ინსტრუქციაში არსებულ მოვალეობის დროებით შესრულების ჩანაწერებთან.

4.1.2.(1) – სასურველია, დადგენილი შინაგანაწესის გაცნობის წესი თანხვედრაში იქნეს მოყვანილი პსდ-ში დანერგილ პრაქტიკასთან. ინფორმაციის მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით პერსონალის დოკუმენტთან გაცნობის ფურცლებში აისახოს სრულყოფილი ინფორმაცია (დოკუმენტის დასახელება, გაცნობის თარიღი/ვადები).

4.1.2.(2) - სასურველია, საკადრო დოკუმენტაციის წარმოებისას:

-სანდოობის უზრუნველყოფის მიზნით, პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების გვერდები იდენტიფიცირდეს/დაინომროს და თითოეული გვერდის შინაარსი დამოწმებული იქნეს ხელმომწერი ორივე მხარის მიერ.

- საკადრო ბრძანებებზე უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალის ბრძანების შინაარსთან გაცნობის დადასტურება, ასევე ბრძანების ტექსტში (გათავისუფლების და ა.შ.) აისახოს პერსონალის უფლება გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ. პსდ-მ უზრუნველყოს, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგმიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები წარმოდგენილი იქნეს ყველა თანამშრომლის მიერ.

4.1.2.(3) - კორექტირდეს პსდ-ს შინაგანაწესის მე-5 მუხლის სათაური „სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციომოთხოვნების შესახებ“.

5.2.1.(2) - სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს IT ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული რისკების მართვის დოკუმენტირება (რისკების იდენტიფიცირება/შეფასება, აღმოფხვრისა და პრევენციული ღონისძიებების/გეგმის შემუშავება). კორექტირდეს ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტთან გაფორმებულ ხელშეკრულება და მოვიდეს შესაბამისობაში მომსახურების რეალურად დაწყების თარიღთან.

5.2.1.(5) - სასურველია ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობების წესი და პირობები ჩამოყალიბდეს ერთ კონკრეტულ დოკუმენტში.

5.2.2. (1) სასურველია გადაიხედოს საქმისწარმოების წესი და დაკონკრეტდეს კორესპონდენციის განხილვისა და მომზადებისთვის ვადები. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელმა პირმა, უზრუნველყოს ბრძანების სათაურის საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად ფორმულირება (სათაური იყოს კონკრეტული და არა ზოგადი შინაარსის). პსდ-ს შიდა დოკუმენტაცია დაჯგუფდეს შინაარსობრივი დატვირთვის მიხედვით, ამასთან განისაზღვროს საკანონმდებლომოთხოვნების შესაბამისად დოკუმენტების შენახვის ვადები.

5.2.3. (1) - სასურველია, პსდ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში უზრუნველყოფილი იქნეს პროფესიულ განათლებაში დამკვიდრებული ტერმინის გამოყენება (მაგ. „აბიტურიენტი“ შეიცვალოს სიტყვით „აპლიკანტი“).

5.3.1. (1) - სასურველია პსდ-ს წლიურ ბიუჯეტში, მკაფიოდ ჩანდეს მიმდინარე პერიოდში სამოქმედო გეგმების კონკრეტული ამოცანის/ამოცანების შესრულებისთვის საჭიროსაპროგნოზო ბიუჯეტი.

2.2.1 (4) - სასურველია, გადაიხედოს საგანმანათლებლო პროგრამის მოდულები (პ.3.3.) და სასწავლორესურსის ჩამონათვალში შეტანილი იქნეს საქართველოს მოქმედი ნორმატიული დოკუმენტები (საქართველოს მთავრობის დადგენილებები: #185 „სამედიცინო, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში დეზინფექციისა და სტერილიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ (24.04.2015) და #473 ტექნიკური რეგლამენტი - საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დამტკიცების შესახებ.

2.4.1. (1) - სასურველია, საგნამანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალსიწნებული იქნეს მოდულების სწავლის შედეგების შინაარსი.

2.4.2. (2) სასურველია, პსდ-მ უზრუნველყოს პერსონალის თანამდებობრივ ინსტრუქციებში შესასრულებელიფუნქცია-მოაველობების სრულად ასახვა.

2.4.2. (3) - სასურველია, შეფასების უწყისები და მათი აღრიცხვის ჟურნალი, მოვიდეს საქმისწარმოების ერთიანი წესის, მუდმივად შესანახი დოკუმენტებისადმი დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

ზოგადი შინაარსის რეკომენდაცია:

დაწესებულების დოკუმენტებში (დებულება, შინაგანაწესი, ხელშეკრულებები და სხვ.) კორექტირდეს ტექნიკური შეცდომები, დაცული იქნეს პუნქტების/ქვეპუნქტების ნუმერაცია და თანმიმდევრობა. პროცესებისთვის შიდა მარეგულირებელი ნორმები გაიწეროს ერთ დოკუმენტში ან შემუშავდეს პროცესისთვის კონკრეტული პროცედურა/დებულება/ინსტრუქცია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებისთვის. მისი განცხადებით, ექსპერტთა მხრიდან გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციები მათთვის სრულიად მისაღები იყო და დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა მუშაობა აღნიშნული რეკომენდაციების შესრულებაზე. ამის შემდეგ ისაუბრა დაწესებულების სამომავლო გეგმების შესახებ, დაწესებულებამ გააქტიურა პროფორიენტაციის კუთხით დაგეგმილი ღონისძიებები და ამ ეტაპისთვის თბილისის მასშტაბით 50 საჯარო სკოლაში ჰქონდათ შეხვედრები 9-12 კლასის წარმომადგენლებთან და სკოლების დირექციასთან. დაწესებულემამ ასევე ცნობადობის მიზნით დაარიგა ბუკლეტებიც.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კეონი აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს კეონი აკადემიაში (ს/კ: 405306119) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 10 ივნისი.

4. შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა,სიტყვა გადასცა ვახტანგ ბოგველიშვილს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტის განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის მიერ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა", "გ", "დ", "ე" ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საექთნო განათლება" 31-ე მუხლის-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შემოწმება (გეგმიური მონიტორინგი). ამ მიზნით, 2022 წლის 6, 7 და 8 აპრილს შედგა ვიზიტი შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებელში.

ვიზიტის პირველ დღეს ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და განიხილეს მათ მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია. განიხილეს მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების და მათი დაინტერესებული მხარეების მიერ გაზიარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შეისწავლეს სტრატეგიული დაგეგმვის მტკიცებულებები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და მათი მონიტორინგისა და შეფასების მტკიცებულებები, განიხილეს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი და გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, შეისწავლეს პროფესიული სტუდენტების/კურსდამთავრებულების სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მიღებული განათლების აღიარების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პრაქტიკა და მტკიცებულებები, პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვასა და გარანტიების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრაქტიკა, შეამოწმეს პროფესიულ სტუდენტებთან დადებული ხელშეკრულებები და პორტფოლიოები (შემთხვევითი შერჩევის პრინციპით).

შეისწავლეს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებებისა და მათი პრაქტიკაში გამოყენების მტკიცებულებები, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერის პრაქტიკა და გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს; განიხილეს პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევის მეთოდოლოგია და კვლევის შედეგების ანალიზი, მათი პრაქტიკაში გამოყენების საკითხები, გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს; შედგა გასაუბრება პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელ პირთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

ვიზიტის მეორე დღე დაეთმო: სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების, სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების განხილვასა და გასაუბრებას პასუხისმგებელ პირებთან; ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის განხილვასა და გასაუბრებას პასუხისმგებელ პირებთან; პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შესწავლასა და გასაუბრებას პასუხისმგებელ პირებთან; პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული პრაქტიკის შესწავლასა და გასაუბრებას პასუხისმგებელ პირებთან; ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვას, გასაუბრებას ადმინისტრაციასთან; ასევე, მე-5 სტანდარტთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვასა და გასაუბრებას პასუხისმგებელ პირებთან.

ვიზიტის მესამე დღეს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულების ინფრასტრუქტურა; განიხილა საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“, დაათვალიერა პროგრამის მატერიალური რესურსი და გაესაუბრა პასუხისმგებელ პირებს; ასევე გაესაუბრა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელსა და განმახორციელებელ პირებს, შეისწავლა პირადი საქმეები და პერსონალის დატვირთვის მექანიზმების გამოყენების პრაქტიკა; შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომების, შედეგებისა და განვითარების პრაქტიკა და გაესაუბრა პასუხისმგებელ პირებს; განიხილა ვერიფიკაციის შედეგები და შემდგომი ღონისძიებები, გაესაუბრა პასუხისმგებელ პირებს; შეისწავლა პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები და გაესაუბრა პასუხისმგებელ პირებს; გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს.

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დღეების განმავლობაში ექსპერტთა მიერ მოთხოვნილი რიგი დოკუმენტაციისა დაწესებულებას არ წარმოუდგენია, რაზეც ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებასთან კოორდინაციით შეადგინა აქტი, სადაც მოცემულია ჩამონათვალი იმ დოკუმენტებისა, რაც მოთხოვნილ იქნა ექსპერტთა მხრიდან, მაგრამ დაწესებულებას ვიზიტის პერიოდში არ წარმოუდგენია. აქტის შინაარსის ნამდვილობას ხელისმოწერით ადასტურებენ ექსპერტთა ჯგუფის წევრები და დაწესებულების დირექტორი. ხსენებული აქტი წარმოადგენს აღნიშნული დაწესებულების დაკვნის დანართს. ვიზიტის დასასრულს, ექსპერტებმა შეაჯამეს გაწეული სამუშაო და ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

ექსპერტის განცხადებით, პირველი სტანდარტი შეფასდა მეტწილად შესაბამისად, რადგან 1.2 კომპონენტი შეფასდა მეტწილად შესაბამისად სტანდარტის მოთხოვნებთან; მესამე სტანდარტი - სრულ შესაბამისად, მეოთხე სტანდარტი - მეტწილად შესაბამისად, რადგან 4.1 და 4.2 კომპონენტები შეფასდა მეტწილად შესაბამისად სტანდარტის მოთხოვნებთან და მეხუთე სტანდარტი - შეუსაბამოდ, რადგან 5.1 კომპონენტი შეფასდა შეუსაბამოდ სტანდარტის მოთხოვნებთან.

გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

5.1.2.3 - დაწესებულებას არ წარმოუდგენია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან და დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ. აღნიშნული საკითხი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაშიც არ არის ასახული. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების მექანიზმები. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 14 მარტის No20 ბრძანებით დამტკიცებულია უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი, სადაც გაწერილია უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ევაკუაციის პროცედურები და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას არ წარმოუდგენია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან და დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ. აღნიშნული საკითხი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაშიც არ არის ასახული. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი ფასდება ხარვეზად.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

აღსანიშნავია, რომ დასკვნის პროექტში რიგი საკითხები ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა ხარვეზად. შპს ბათუმის დამოუკიდებელმა სასწავლებელმა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ასახულია ხარვეზების გარკვეული ნაწილის ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, მტკიცებულებები, პერიოდი და სხვ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის შესაბამისობის გეგმის თანახმად, რომელსაც იზიარებს ექსპერტთა ჯგუფი, დაწესებულება „მეტწილად შესაბამისია **შემდეგ საკითხებთან მიი მართებით:**

1.2.1.3 - დაწესებულებას სამოქმედო გეგმაში არა აქვს განსაზღვრული საჭირო რესურსები.

1.2.2.1- დაწესებულება არ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

1.2.2.2 - დაწესებულება არ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. შესაბამისად, არ დგინდება რეაგირების ფაქტი.

2.2.1.4 - ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე. პროგრამას ხელმძღვანელობს ექიმი-იმუნოლოგი. პროგრამის ხელმძღვანელი არ არის დარგის სპეციალისტი, მას არ გააჩნია დარგობრივი კომპეტენცია, რაც დასტურდება მასთან ინტერვიუირებითაც.

4.1.1.3 - კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

4.2.1.1 - დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფისთვის არ წარმოუდგენია ადმინისტრაციული პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგები და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგები, შესაბამისად პსდ არ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.

5.1.1.4 - შენობა-ნაგებობა არაა უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით.

5.1.1.7 - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი არ ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

5.1.2.1 - დაწესებულებამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიწერილობა, თუმცა, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულების ვადები ამოწურულია. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ აღარ მიუმართავთ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის ხელმეორედ შემოწმებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, დაწესებულებას არ წარმოუდგენია კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის უსაფრთხოების შესახებ.

5.1.2.4 - დაწესებულებას გარე პერიმეტრსა და შენობის პირველი სართულის მარცხენა ფლიგელში არ აქვს დამონტაჟებული ვიდეოკამერები.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობები მოიყვანოს სისრულეში, მითითებული ვადების გათვალისწინებით. შესაბამისობის გეგმის თანახმად, ყველა არსებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია მიმდინარე წლის ივლისი.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დააფიქსირა შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაციები:

1.2.1.1 - დაწესებულებამ უზრუნველყოს განხორციელებული აქტივობების (სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება) დოკუმენტირება (მაგალითად: შექმნას შეხვედრის ხელმოწერის ფურცლები, შეხვედრის ოქმები და სხვა). ეს მიდგომა განავრცოს სხვა ტიპის აქტივობებზეც.

2.2.1.6 - სასურველია, კოლეჯმა კონკრეტულად გაითვალისწინოს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ (საჭიროების შესაბამისად).

3.2.1.2 - დაწესებულებამ დოკუმენტურად გაწეროს სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები, ასევე განსაზღვროს კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის ფუნქციები ამ საკითხთან დაკავშირებით.

3.2.1.3 - დაწესებულებამ დოკუმენტურად გაწეროს კოლეჯში დამკვიდრებული ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები, სხვადასხვა ადმინისტრაციული წარმოების ვადები.

3.2.1.5/3.2.2.4 - პროცესის ყოველთვის დადებითი შეფასება შესაძლოა არ გამორიცხავდეს შეფასების მეთოდების/კვლევის/კითხვარების რელევანტურობის საკითხს. სასურველია, დაწესებულებამ გადახედოს იმ კითხვარებს და მეთოდებს, რომლებსაც იყენებს აღნიშნული კვლევისას.

3.2.2.3 - დაწესებულებამ დოკუმენტურად შეიმუშავოს კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კმაყოფილების კვლევის მეთოდოლოგია, სადაც ასახავს იმ აქტივობებს რასაც რეალურად ახორციელებს პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.

4.1.1.1 - დაწესებულებამ ცალკე შეიმუშაოს პერსონალის სამუშაო აღწერილობები, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი თანამდებობის დასახელება, სტრუქტურული ერთეული, (არსებობის შემთხვევაში), შესასრულებელი დავალებები (ფუნქციები), სამუშაოს პირობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ა.შ.

5.2.1.2 - დაწესებულებამ გაწეროს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის რეგულაციები.

5.2.1.3 - დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების მხრიდან მათი თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულებები წარმოება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე.

დარგის ექსპერტის განცხადებით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შპს ,,ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რის საფუძველზეც შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება". გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება" განხორციელების შესახებ ეფუძნება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ განვითარებას და შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს, როგორც დამსაქმებლების, ასევე სწავლის მსურველთა მხრიდან.

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული ხელმძღვანელი, რომელიც დანიშნულია ბრძანებით. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით (ინტერვიუირებისა და სხვადასხვა დოკუმენტური მტკიცებულებების საფუძველზე), ხელმძღვანელი ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს. კერძოდ, იგი აქტიურადაა ჩართულის სწავლების პროცესში, მუდმივად ეცნობა პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგებს და პროგრამის სრულყოფის მიზნით ახდენს რეაგირებას ამ შედეგებზე. მუდმივად ამოწმებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, აგვარებს პროგრამასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზაციულ საკითხებს, ესწრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად მეცადინეობებს, ამოწმებს სტუდენტთა პრაქტიკული და კლინიკური სწავლების მოდულების მიმდინარეობას პრაქტიკის ობიექტებზე. ორგანიზებას უწევს კალენდარული გეგმების მომზადებას, სასწავლო ლიტერატურის და მასალა-რესურსების შეძენა-განახლებას, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებს, ადამიანური რესურსის განვითარებას და კვალიფიკაციის ამაღლებას.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 7 თებერვლის No10 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელისა. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე. პროგრამას ხელმძღვანელობს ექიმი-იმუნოლოგი. დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი არ არის დარგის სპეციალისტი, მას არ გააჩნია დარგობრივი კომპეტენცია, რაც დასტურდება მასთან ინტერვიუირებითაც. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მოცემულობა ექსპერტებმა მიიჩნიეს ხარვეზად და ასახეს დასკვნის პროექტში. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, მტკიცებულებები, პერიოდი და სხვა.

შესაბამისობის რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობები დაწესებულებამ მოიყვანოს სისრულეში, მითითებული პერიოდის გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებისთვის. მისი განცხადებით, რაც შეეხებოდა რეკომენდაციებს სახანძროსთან, საგანგებო სიტუაციების მართვასთან, გათბობასთან და ვიდეოთვალთან დაკავშირებით დაწესებულება შეასრულდებდა გაწერილი გეგმის მიხედვით, აღნიშნულთან დაკავშირებით ჩართული იყო სასწავლებლის მთლიანი გუნდი, რათა დაფიქსირებული ხარვეზი გამოსწორებულიყო და გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულიყო.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვით, შესაბამისობის გეგმაში არ იყო გაწერილი ერთი კომპონენტი, რომელიც ეხებოდა კომპეტენტური ორგანოს მიერ დამტკიცებულ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას, რატომ არ მოხდა შესაბამისობის გეგმაში ამ კომპონენტის ასახვა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, შესაბამისობის გეგმის შედგენისას ტექნიკური უზუსტობის გამო, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმასთან დაკავშირებული ჩანაწერი არ აისახა გეგმაში, თუმცა დაწესებულებას უკვე დაწყებული აქვთ მუშაობა ამ საკითხთან დაკავშირებით.

ნანი დალაქიშვილი დაინტერესდა რამდენი აქტიური სტუდენტი ჰყავდა დაწესებულებას ამ ეტაპზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სასწავლებელში ირიცხებოდა 217 აქტიური სტუდენტი და 16 სტატუს შეჩერებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ ისარგებლა სათათბირო დროით.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის საკითხი გაურკვეველი იყო მათთვის. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში სრულად არის ასახული ექსპერტების მიერ იდენტიფიცირებული ხარვეზებისა და შეუსაბამობების გამოსწორებისთვის დაგეგმილი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები, რესურსები და ა.შ. ერთადერთი ხარვეზი, რომელიც გაურკვეველი მიზეზების გამო არ მოხდა ამ გეგმაში - არის კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. დაწესებულების განმარტებით, მოხდა ტექნიკური ხარვეზი გეგმის გამოგზავნისას თუ შედგენისას და მათ დაწყებული აქვთ მუშაობა ამ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტმა ქეთევან ჯანელიძემ ითხოვა საკითხის დაზუსტება, მან თქვა, რომ ძალიან გაუკვირდა, რომ ეს საკითხი გამორჩა დაწესებულებას, რადგან ვიზიტის ყოფნის დროს იკითხეს, რატომ არ იყო ეს საკითხი შეთანხმებული, ისაუბრეს იმაზეც, ვისთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული და ამიტომ მათთვის ცოტა გასაკვირი იყო, რომ გამორჩათ.

შორენა ჯაფარიძემ უპასუხა ექსპერტს, რომ საბჭოსაც გაუჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, ხომ არ გამორჩა დაწესებულებას ამ საკითხის შეტანა გეგმაში. ამიტომ ფიქრობს, რომ უპრიანია საბჭომ

ცენტრს მიმართოს შუამდგომლობით, რომ დამატებითი მოკვლევა განხორციელდეს დაწესებულებაში აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით, რამდენად კოლეჯს ტექნიკურად გამორჩა ამ საკითხის წარმოდგენა და ნამდვილად თუ მუშაობენ ამ მიმართულებით და შემდეგ განხრციელებულიყო საბჭოს სხდომაზე საკითხის ხელახალი განხილვა.

საბჭოს წევრები დაეთანხმნენ საკითხის გადადებას დამატებითი მოკვლევისთვის და შემდგომში ხელახლა განხილვას.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

ნანა ყუფუნია შემოუერთდა საბჭოს სხდომას.

5. შპს ბარაკონში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა,სიტყვა გადასცა ქეთევან ბოტკოველს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტმა საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. 2022 წლის 16 მარტის ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს ბარაკონის მიერ ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის გ.ა) და გ.ბ) კომპონენტების შემოწმების მიზნით 2022 წლის 23 მარტს არაგეგმიური ონიტორინგის ვიზიტის განხორციელება. მონიტორინგის საფუძველი გახლდათ მოქალაქის თ. ე. განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ მას თანხის გადაუხდელობის გამო შეუწყდა (მეხუთე საფეხურის პრაქტიკოსი ექთნის პროგრამა) პროფესიული სტუდენტის სტატუსი, ისე რომ კოლეჯმა ვერ უზრუნველყო მისი ინფორმირებულობა თანხის გადახდის ბოლო ვადასთან და ასევე იმასთან დაკავშირებით, რომ პროგრამა ხორციელდებოდა მილევად რეჟიმში და მისი განხორციელების ბოლო ვადა 31 დეკემბერი იყო. მისივე განცხადებით იგი სტუდენტის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის გარეშე ჩაირიცხა 2018 წელს „კოლეჯ ბარაკონში“ პრაქტიკოსი ექთნის საგანმანათლებლო პროგრამაზე, დირექტორთან შეთანხმებით გაიარა მხოლოდ თეორიული საგნები, რამდენადაც პრაქტიკული კომპონენტის გავლას არ საჭიროებდა. როგორც იგი აღნიშნავს, მან ასევე მიიღო შეთავაზება კოლეჯის დირექტორისგან სწავლების საფასურის თვიურად გადახდასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, გადაუხდელობის გამო მას შეუჩერდა სტატუსი, რომელიც გარკვეული თანხის გადახდის შემდგომ აღუდგა. მისი განცხადებით საერთო ჯამში გადაიხადა 4300 ნაცვლად 5100 ლარისა. 2022 წლის 25 თებერვალს მან გადაწყვიტა დაეფარა დარჩენილი თანხა, მაგრამ აღმოაჩინა, რომ შეწყვეტილი ჰქონდა სტატუსი და ვეღარ აიღებდა დიპლომს. მისივე მოთხოვნაზე, ამავე დღეს, პირადი დოკუმენტაციის (ხელშეკრულება ჩარიცხვის თაობაზე და სტატუსის შეწყვეტის ბრძანება) მიღებასთან დაკავშირებით მან კოლეჯისგან უარი მიიღო.

საკითხის უკეთ გასაცნობად, ექსპერტების მიერ, შესწავლილ იქნა მოქალაქე თ. ე. პირადი საქმე, მათ შორის: ხელშეკრულება; პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების ბრძანება; პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ბრძანება შესაბამისი საფუძვლებით; შეწყვეტის ბრძანების გამოქვეყნების დროს მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; მტკიცებულებები, რითიც დასტურდება დაწესებულების მხრიდან თამარ ეჯიბიას შესახებ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანა; მტკიცებულებები, რითიც დასტურდება, რომ თ. ე.- სთან დაწესებულებას ჰქონდა კომუნიკაცია და ხდებოდა მისი ინფორმირება; უწყისები და სხვა მტკიცებულებები, რითიც დასტურდება თ. ე. სწავლებისა და შეფასების პროცესი.

ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელდა შესაბამისი ინტერვიუები, როგორც კოლეჯის დირექტორთან, მის მოადგილესთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, მოქმედ სტუდენტებთან და ასევე თავად ზემოხსენებულ მოქალაქესთან.

დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

3.1.1.1 მოქალაქეს თ.ე. ფინანსური დავალიანების მიუხედავად არ შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, რითაც დაირღვა კოლეჯ „ბარაკონის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის - მუხლი 4.- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება -პუნქტი 2 - პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია: ბ) ფინანსური დავალიანება - ხელშეკრულებით გათვალისწინებული დადგენილი ვადიდან სწავლის საფასურის გადაუხდელობა 3 თვის განმავლობაში;

მოქალაქე თ.ე.-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეუწყდა 2022 წლის 16 თებერვალს, რითაც, დაირღვა კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული ვადები და კერძოდ: მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, რომელიც განმარტავს - 2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია: ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან ორკვირიანი ვადის გასვლა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა დასრულდა 9 ივლისს და კვალიფიკაციის მინიჭება განხორციელდა 29 ივლისს {მეხუთე საფეხურის პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული კვალიფიკაცია კოლეჯის წესდების მე-6 მუხლის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-16 მუხლის, მე-6 პუნქტის საფუძველზე, მიენიჭა 15 პროფესიულ სტუდენტს. დირექტორის ბრძანება N49, 29.07.2021}, ხოლო მოქალაქე თ.ე.-ს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტატუსი შეუწყდა 2022 წლის 16 თებერვალს. კოლეჯმა წარმოადგინა ამონაწერი evet .ge დან, რომლითაც ასევე დასტურდება, მოქალაქისთვის სტატუსის შეწყვეტის თარიღი. პროგრამის დასრულებიდან მოქალაქე თ.ე.-სთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტამდე გასულია 7 თვე.

რამდენადაც პროგრამა, რომელზეც მოქალაქე თ.ე. სწავლობდა წარმოადგენდა პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ მეხუთე საფეხურის პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, დაირღვა ასევე პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 39-ე მუხლის 1/2 პუნქტი (კოლეჯი/საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია მხოლოდ პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრისა. კოლეჯი/საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილი არ არის, ჩარიცხოს ახალი პროფესიული სტუდენტები ამ პროგრამაზე).

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

პროფესიულ სტუდენტთა ხელშეკრულებებში არის ჩანაწერი, რომ ისინი დოკუმენტზე ხელმოწერამდე უნდა გაეცნონ მარეგულირებელ დოკუმენტებს, თუმცა არ არის დაკონკრეტებული რომელს. ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია უფრო ნათელი გახდეს ჩანაწერი და დაკონკრეტდეს რომელ დოკუმენტებზეა საუბარი.

სერგო ნოზაძემ დატოვა საბჭოს სხდომა.

დეა აბულაძემ დატოვა საბჭოს სხდომა.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, თვითონ სტუდენტი თუ იცნობდა შინაგანაწესს და რითია ეს ფაქტი დადასტურებული, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ამ მოქალაქესთან მას ჰქონდა მხოლოდ სატელეფონო საუბარი და არ ჰქონდა საშუალება, უფრო მეტი გაეგო მისგან, თუმცა ის, რომ კოლეჯში შინაგანაწესს აცნობენ, ეს დაადასტურეს სტუდენტებმა. შევიდნენ ჯგუფში, სადაც მრავალრიცხოვანი სტუდენტები იყვნენ, რომლებმაც თქვეს, რომ ზუსტად იციან სად არის შინაგანაწესი და ხელშეკრულების დადების წინ ისინი ეცნობიან ამ დოკუმენტს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, პროფესიული სტუდენტები საიდან იცნობდნენ შინაგანაწესს, გამოკრულია თუ ხელშეკრულების ნაწილია, რაზედაც ქეთევან ბოტკოველმა უპასუხა, რომ ვებგვერდზეც არის, ხელშეკრულებაში კი ჩანაწერია, რომ უნდა გაეცნონ მარეგულირებელ დოკუმენტებს. ამასთან დაკავშირებით ექსპერტებმა გასცეს განმავითარებელი რეკომენდაცია, კერძოდ: პროფესიულ სტუდენტთა ხელშეკრულებებში არის ჩანაწერი, რომ ისინი დოკუმენტზე ხელმოწერამდე უნდა გაეცნონ მარეგულირებელ დოკუმენტებს, თუმცა არ არის დაკონკრეტებული რომელს. ექსპერტთა მოსაზრებით, სასურველია, უფრო ნათელი გახდეს ჩანაწერი და დაკონკრეტდეს, რომელ დოკუმენტებზეა საუბარი.

საბჭოს თავმჯდომარემ 39-ე მუხლზე, მის დარღვევაზე უფრო მეტი განმარტება ითხოვა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ყველა საგნობრივი პროგრამის და ამ შემთხვევაში ,,პრაქტიკოსი ექთნის“ პროგრამის განხორციელების ვადა 31 დეკემბრამდე იყო, რის შემდეგაც უნდა დასრულებულიყო. პროგრამა დასრულდა 29 ივლისს, ხოლო პროგრამის განხორციელება - 9 ივლისს. კვალიფიკაცია ზუსტად ორ კვირაში მიენიჭათ სტუდენტებს, რომლებიც იყვნენ ამ პროგრამაზე 29 ივლისს.. სტუდენტი გაირიცხა 7 თვის მერე, 16 თებერვალს. მაშინ, როცა პროგრამა უკვე დასრულებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს ფაქტი პროფესიული კანონის 39-ე მუხლის დარღვევა არ არის. კოლეჯმა პროგრამა დროულად დაასრულა და რომ სტუდენტი მერე გარიცხა, ეს დარღვავა არ იყო, მისი აზრით. მან მიმართა ქალბატონ ნანი დალაქიშვილს, რადგან აინტერესებდა ცენტრის შეფასება 39-ე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით.

ნანი დალაქიშვილმა თქვა, რომ ის გაეცნო დასკვნას, მიყვა იმ ლოგიკასაც რაც ექსპერტებს ჰქონდათ ასახული იმ სტუდენტთან მიმართებაში და არ ჩანს, რომ პროგრამა დასრულდა. რომ ყოფილიყო რაიმე აქტი, მაგალითად, როგორც დაწესებულებები აგზავნიან ბრძანებას, რომ ყველა სტუდენტმა დაასრულა პროგრამა და პროგრამა უნდა გაუქმდეს, მაშინ შეიძლებოდა ცალსახად თქმულიყო, რომ კანონი კი არ დარღვეულა, არამედ, ამ სტუდენტის აქტიური სტატუსის შენარჩუნების გამო დაირღვა პროფესიული განათლების ელექტრონული სისტემის წარმოების (რეესტრის) წესი, თორემ პროგრამა დასრულდა და ეს ბრძანებით

დადასტურებულია. რომ იყოს პროგრამის გაუქმების ბრძანება, რაც არ არის ასახული დასკვნაში და არ ჩანს გააუქმა თუ არა ეს პროგრამა დაწესებულებამ. ამაზე ექსპერტმა ან დაწესებულებამ უნდა ისაუბროს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ სტუდენტთან მიმართებაში, პროგრამა არ არის დასრულებული. სტუდენტი ამბობს, რომ მას ეგონა, რომ თანხის გადახდის შემდეგ ის შეძლებდა სწავლის გაგრძელებას. თქვა, რომ არ იყო ინფორმირებული, ამიტომ მას ეგონა, რომ ისევ სწავლობდა. დაწესებულების წარმომადგენლებმა თქვეს, რომ ისინი ამ სტუდენტს ვერ პოულობდნენ, თუ ეს სტუდენტი გამოჩნდებოდა აგვისტოს ბოლოს, სექტემბერში ის მოასწრებდა პრაქტიკული კომპონენტის გავლას. ეს ნიშნავს, რომ პროგრამა ამ სტუდენტისთვის დამთავრებული არ იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ხაჩიძემ ისაუბრა დაწესებულების პოზიციაზე და შეფასებაზე დასკვნასთან დაკავშირებით. მან თქვა, რომ დასკვნაში საუბარია, რომ მათ პროფესიულ სტუდენტს არ შეუჩერეს სტუდენტის სტატუსი ფინანსური დავალიანების გამო, რაც თავისთავად იწვევს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დარღვევას და შესაბამისად, მათ მიერ იყო განსაზღვრული სამთვიანი ვადა. მან განმარტა, რომ ,,პრაქტიკოსი ექთნის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, როგორც უკვე ითქვა, ხორციელოდებოდა მილევად რეჟიმში, უნდა დასრულებულიყო წლის ბოლოს და გამომდინარე იქედან, რომ პანდემიის პირობებში ხოციელდებოდა, სასწავლო პროცესი შეჩერებული იყო 4 თვეზე მეტი ხნით, ასევე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელება სხვადასხვა პერიოდულობით წყდებოდა, როგორც მთავრობის დადგენილებით, ასევე მინისტრის ბრძანებით. შესაბამისად, ეს ისედაც ართულებდა პროგრამის დასრულებას. აქედან გამომდინარე, მათი მხრიდან, ფინანსური დავალიანების გამო, პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება არ მიიჩნიეს რომ იყო სწორი. ასევე, ზოგადი ინფორმაციით, პანდემიის პირობებში არ მომხდარიყო სტუდენტებისთვის სტატუსის შეჩერება ფინანსური დავალიანების გამო. მათ ასევე, ფინანსური დავალიანების გამო განახორციელეს წერილობითი მიმართვა სხვადასხვა სამინისტროებთან, მათ შორის ეკონომიკის სამინისტროსთანაც, მოხდა მიმართვა არა მარტო მათი კოლეჯის მხრიდან, იმ სტუდენტების მხრიდანაც, რომლებიც თვითდაფინანსებით სწავლობდნენ, ითხოვდნენ ფინანსური დავალიანება ვისაც ჰქონდა, იმ სტუდენტებისთვის, სახელმწიფოს მხრიდან მომხდარიყო რაღაც გარკვეული სახის დახმარების გაწევა.

ნანა ყუფუნია დაინტერესდა, შექმნეს თუ არა რაიმე დოკუმენტი ამასთან დაკავშირებით, თუ მარტო მიიჩნიეს, რომ ფინანსური დავალიანების გამო სტატუსის შეჩერება არ მიიჩნიეს, რომ იყო სწორი, რაზეც ნინო ხაჩიძემ უპასუხა, რომ ამ მიზნით დოკუმენტი არ შექმნილა, თუმცა განხორციელდა ჯგუფების ინფორმირება.

ასევე მათი ერთ-ერთი მარეგულირებელი წესის მიხედვით, სტატუსის შეჩერების ერთ-ერთი საფუძველია ფინანსური დავალიანება, რითაც დაარღვიეს შინაგანაწესი. მან კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ სასწავლო შინაგანაწესი არის მხოლოდ პროფესიული სტუდენტებისათვის, შრომის შინაგანაწესი არის ცალკე დოკუმენტი, თანამშრომლებისთვის, ცალ-ცალკე აქვთ შინაგანაწესი. შესაბამისად, სასწავლო შინაგანაწესში მათ უწერიათ, რომ პროფესიული სტუდენტი ვალდებულია არსებობის შემთხვევაში, დროულად და შესაბამის საბანკო ანგარიშზე დადგენილი წესით გადაიხადოს სწავლის საფასური, აგრეთვე სხვა ფინანსური დავალიანება და კოლეჯს დაუყოვნებლივ მიაწოდოს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთან დაკავშირებით დასკვნაში საუბარია, რომ მათ დაარღვიეს შინაგანაწესი.

ფინანსურმა დავალიანებამ და პრაქტიკული კომპონენტის არგაუვლელობამ დააყენა ეს შედეგი, მას 200 კრედიტი არ ჰქონდა გავლილი. კვალიფიკაციის მინიჭება მისთვის ვერ განხორციელოდებოდა. მათ შეეძლოთ, თუ პროფესიული სტუდენტი მიმართავდა მათ,

დამატებითი პერიოდი გამოეყოთ მისთვის, მას ჰქონდა ეს შესაძლებლობა. მარეგულირებელ წესში უწერიათ, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ, იმ პროფესიულ სტუდენტებს, ვისაც არ მიენიჭა კვალიფიკაცია, შეუძლიათ მოითხოვონ პროგრამის დამატებით ვადებში გავლა. ეს არის რეგულაციით გაწერილი. ამასთან ერთად, ამ პერიოდში, როგორც ექსპერტთა ჯგუფიც ამბობს, აგვისტოს დასაწყისში ამ სტუდენტმა ფინანსური დავალიანების მცირე ნაწილი გადაიხადა, რამაც გააჩინა რეალური მოლოდინი, რომ მას ნამდვილად სურდა პროგრამის დასრულება, შესაბამისად ეცადნენ მასთან განეხორციელებინათ კომუნიკაცია, მოსულიყო და დარჩენილი მოდულები გაევლო. აგვისტოს დასაწყისში შეიძლებოდა პროგრამის დაჩქარებულ რეჟიმში გავლა იმ დარჩენილი მოდულების, თუმცა აგვისტოს ბოლოდან ეს უკვე შეუძლებელი იქნებოდა, სტუდენტი ვადებში ვერ ჩაეტეოდა, გამომდინარე კვირეული დატვირთვიდან. 31 დეკემბრამდე ვერ მოახერხებდა დასრულებას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, როგორ აცნობეს სტუდენტს ამ ინფორმაციის შესახებ, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სტუდენტს შეხვედრას ერჩია სატელეფონო საუბარი, რომელიც ცენტრის წარმომადგენლებთან ჩატარდა, ასევე ექსპერტთა ჯგუფი როდესაც გაესაუბრა. სტუდენტი მათთან შეხვედრის აქტით ამბობს, რომ პროგრამა დასრულდა ივლისში.

ნინო ხაჩიძემ თქვა, რომ შექმნილია ვებგვერდი თითოეულ პროგრამაზე, თითოეულ ჯგუფებთან, მათ შორის კატალოგშიც, სადაც აღნიშნული იყო, რომ ეს პროგრამა იყო მილევად რეჟიმში.

საბჭოს თავმჯდომარის შემდეგი კითხვა იყო, აცნობეს თუ არა სტუდენტს, რომ თუ აგვისტოს დასაწყისში არ გამოცხადდებოდა, მას არ ექნებოდა პროგრამის დასრულების შესაძლებლობა, რაზედაც ნინო ხაჩიძემ უპასუხა, რომ დაწესებულებას ჰქონდა მცდელობა დაკავშირებოდნენ სტუდენტს, მაგრამ მან შეიცვალა საკონტაქტო ნომერი და ვერ მოხერხდა მასთან დაკავშირება. კითხვაზე - სტუდენტის ელ-ფოსტა თუ ჰქონდათ, პასუხი იყო, რომ არ ჰქონდათ მისი ელ-ფოსტა. ნინო ხაჩიძის აზრით, მათ უკვე იცოდნენ, რომ არ მოხდებოდა კვალიფიკაციის მინიჭება, ამიტომ მოხდა შეწყვეტის ბრძანების გამოცემა.

ქეთი ბოტკოველის თქმით, დასკვნაში იყო ყველაფერი, რაც ფაქტობრივი გარემოებები იყო. რაც შეეხება სტუდენტს, მან გაიგო, რომ გაუუქმდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი 23 თებერვალს, როდესაც მივიდა თანხის გადასახდელად. დაწესებულებას თავის არგუმენტირებულ დასკვნაში საერთოდ არ აქვს ნახსენები კრედიტები და რომ სტუდენტს დავალიანების სახით ჰქონდა 40 კრედიტი.

დაწესებულების და ექსპერტის განმარტებები განსხვავდება, აღნიშნა საბჭოს თავმჯდომარემ.

ქალბატონმა ნანიმ დაამატა, რომ მათი სამსახური ყოველთვის არის ორიენტირებული, რომ დაწესებულების ყველა არგუმენტი კარგად მოისმინოს და დაწესებულების მხარეზე ხშირად არიან, მაგრამ ამ შემთხვევაში ნამდვილად ვერ მიყვება ქალბატონი ნინოს ლოგიკას, იმიტომ რომ 40 კრედიტიან პრაქტიკას აგვისტოდან დეკემბრის ბოლომდე ეს სტუდენტი ვერ გაივლიდა. აგვისტოშივე იქნებოდა ეს თვალსაჩინო და ცალსახა, რადგანაც 40 კრედიტიანი პრაქტიკა დაახლოებით 1000 საათს ნიშნავს და 1000 საათი 40 საათიანი კვირეული დატვირთვითაც, დაახლოებით 25 კვირას საჭიროებს და ეს 25 კვირა მინიმუმ 6 თვე მაინც არის. ანუ თუნდაც რომ გადაეხადა სტუდენტს გადასახადი აგვისტოში ან სექტემბერში, რასაც დაწესებულება თხოვდა, მაინც ვერ მოხერხდებოდა სტუდენტის მიერ პროგრამის დასრულება წლის ბოლომდე.

დაწესებულების ხელმძღვანელმა ბატონმა გიორგი ფოფხაძემ დაამატა, რომ ეს ქალბატონი არის 47 წლის. მას ხაზის გასმა უნდოდა, რომ მასთან საუბარი, თუნდაც პრაქტიკის აუცილებლობაზე ან თანხის გადახდაზე უფრო ადვილია და თვლიან, რომ მარტივად აღსაქმელი იყო მის მიერ, ვიდრე 16, 17, 18 წლის ბავშვებს როდესაც ელაპარაკები ამის თაობაზე. მას გაესაუბრნენ და პრაქტიკის აუცილებლობა კიდევ ერთხელ განუმარტეს, აუხსნეს, რომ თუ არ გაივლიდა პრაქტიკას და არ დაფარავდა გადასახადს, ვერ მიიღებდა კვალიფიკაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების ხელმძღვანელს, რომ ვერ დაუშვებს, როგორც განათლების სისტემის წევრი, რომ როცა სტუდენტებზეა საუბარი, ასაკის ნიშნით დისკრიმინაციული განსხვავება იყოს, ეს არ შეიძლება. ამას არ აქვს მნიშვნელობა როცა წესია და წესის განმარტებაზეა საუბარი. მეორეც, არსებობს ელ-ფოსტა, სადაც შეეძლოთ კომუნიკაცია და საბჭოზე არ უნდა განიხილებოდეს მსგავსი საკითხები.

ბრძანების გამოცემის ვადის გაშვება მოხდა, თქვა ნინო ხაჩიძემ.

სტუდენტის უფლებაც დაირღვა, დაამატა საბჭოს თავმჯდომარემ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ და საბჭომ ისარგებლა სათათბირო დროით.

საბჭოს თავმჯდომარემ გააჟღერა, რომ ძალიან დიდხანს მსჯელობდნენ საკითხზე, რადგან მნიშვნელოვანია, ობიექტური გადაწყვეტილება მიიღონ. ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტების უფლებები, თუმცა ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საბჭოს წევრები არ გასცდნენ უფლებამოსილების ფარგლებს ამ ნაწილში. საბჭომ იმსჯელა და მიზანშეწონილად ჩათვალა, ჩაინიშნოს სრული მონიტორინგი მესამე სტანდარტში, ვინაიდან ბევრი ისეთი რეგულაცია, რომელზეც საბჭოზე იყო საუბარი, ბადებდა კითხვის ნიშნებს და არ იყო გამართული. სტუდენტებთან მიმართებაში მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტმა იცოდეს თავი უფლება - მოვალეობები. ძალიან დამაფიქრებელი იყო სტუდენტთან მხოლოდ სატელეფონო კომუნიკაციით ასეთი მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარება და არა ვთქვათ, მეილით და ა.შ. შესაბამისად, ამ მიმართულებით პროცედურების და პროცესების დეტალური შესწავლისთვის, მნიშვნელოვანია ჩაინიშნოს მონიტორინგი. მონიტორინგის ვადასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ მოითხოვა მაქსიმალური, 6 თვემდე ვადა.

ამასთან, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრების აზრით, იყო გარკვეული საკითხები, რომლის შეფასებაც ცდებოდა მათი უფლებამოსილების ფარგლებს. აქედან გამომდინარე, საბჭო თავს იკავებს ამ საკითხების შეფასებისგან და უბრალოდ ფიქრობენ, რომ შესაძლებელია ამ საკითხების დასაზუსტებლად, პროფესიული სტუდენტის რა უფლებების დარღვევაზეა საუბარი, ამ მოქალაქემ მიმართოს სასამართლოს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბარაკონში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბარაკონში(ს/კ:204877231) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 10 ივნისი.

საბჭო შუამდგომლობს ცენტრის წინაშე, ჩაინიშნოს მესამე სტანდარტის სრული მონიტორინგი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 1 დეკემბერი.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ, 18:29 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / პროფესიული საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბოლოთაშვილი მაგდა